



სარჩელის რეგისტრაციის N \_\_\_\_\_

მიღების თარიღი: \_\_/\_\_/\_\_

## კონსტიტუციური სარჩელი

საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით საქართველოს ნორმატიული აქტის შესაბამისობის თაობაზე („საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი)

კონსტიტუციური სარჩელის ფორმასთან დაკავშირებით, კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე +995 422-27-00-99 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მისამართზე: [const@constcourt.ge](mailto:const@constcourt.ge); ვებგვერდი: [www.constcourt.ge](http://www.constcourt.ge).

თუ რომელიმე პუნქტის შესავსებად გამოყოფილი ადგილი არ იქნება საკმარისი, შეგიძლიათ ფორმას დამატებითი გვერდი დაურთოთ. ყოველ დამატებით გვერდზე გადაიტანეთ იმ პუნქტის სათაური, რომელსაც ავსებთ. წერის დასრულების შემდეგ ფორმა დანომრეთ.

# I. ფორმალური ნაწილი

## 1. მხარეთა რეკვიზიტები

### 1.1 მოსარჩელე/მოსარჩელები

ელფრიდა რეხვიაშვილი	01027033675	ქ. თბილისი, გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა N15
სახელი, გვარი/სახელწოდება	პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი	მისამართი
	555 59 28 60	Niauri.company@gmail.com
ალტერნატიული მისამართი	ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა

### 1.2 მოსარჩელის წარმომადგენელი/წარმომადგენლები

კახა კუკავა	01010008889	ქ. თბილისი, ონიაშვილის ქ. N80
სახელი, გვარი/სახელწოდება	პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი	მისამართი
მარიამ ხორბალაძე	01617057941	ქ. თბილისი, ონიაშვილის ქ. N80
ალტერნატიული მისამართი	ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა

### 1.3. მოპასუხე/მოპასუხეები

საქართველოს პარლამენტი	ქ. ქუთაისი, აბაშიძის ქ. N26	2 28 90 06
სახელწოდება	მისამართი	ტელეფონი

## 2. სადავო ნორმატიული აქტი

### ა) აქტის დასახელება

საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“

მიმღების/გამომცემის დასახელება	მიღების/ გამოცემის თარიღი
საქართველოს პარლამენტი	11/12/1997

### ბ) სადავო ნორმა/ნორმები [შენიშვნა 1](#)

1. საქართველოს კანონის „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შემდეგი სიტყვები - „არაუმეტეს 2000 ლარისა“

2. საქართველოს კანონში „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე მე-2 მუხლის შემდეგი სიტყვები - „ამ კანონის ამოქმედებიდან ერთი წლის განმავლობაში“

შენიშვნა 1 - გთხოვთ, მიუთითოთ ნორმატიული აქტის კონკრეტულად რომელ ნაწილს – პრეამბულას, კარს (წიგნს), თავს, მუხლს, პუნქტს, ქვეპუნქტს, წინადადებას (სასვენ ნიშანს ან/და კავშირს) ან/და სიტყვას ხდით სადავოდ.

**3. საქართველოს კონსტიტუციის დებულება (დებულებანი), რომელსაც ეწინააღმდეგება სადავო ნორმატიული აქტი.**

ა) გთხოვთ, მიუთითოთ კონსტიტუციის შესაბამისი მუხლი, პუნქტი, ქვეპუნქტი ან/და წინადადება.

1. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი: „ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.“

2. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტი: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.“

ბ) იმ შემთხვევაში, თუ სადავო ნორმების შემოწმებას საქართველოს კონსტიტუციის რამდენიმე მუხლთან ითხოვთ, გთხოვთ, დააზუსტოთ, რომელ სადავო ნორმას კონსტიტუციის რომელ მუხლთან, პუნქტთან, ქვეპუნქტთან ან/და წინადადებასთან ხდით სადავოდ. [შენიშვნა 2](#)

სადავო ნორმატიული აქტი (ნორმა)	საქართველოს კონსტიტუციის დებულება
<p>საქართველოს კანონის „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი: „ფულადი კომპენსაციის ოდენობას, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული იძულების სხვადასხვა ფორმის სიმძიმის, აგრეთვე რეპრესირებული პირის ან მისი პირველი რიგის მემკვიდრის ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სხვა ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით, ადგენს სასამართლო. ფულადი კომპენსაციის ოდენობაა არანაკლებ 1000 და არაუმეტეს 2000 ლარისა“</p>	<p>საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი: „ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.“</p>
<p>საქართველოს კანონში „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე მე-2 მუხლი: „პირს, რომელსაც არ მიუმართავს სასამართლოსთვის განცხადებით პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ, უფლება აქვს, შესაბამისი განცხადებით მიმართოს სასამართლოს ამ კანონის ამოქმედებიდან ერთი</p>	<p>საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტი: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.“</p>

შენიშვნა 2 - გთხოვთ, ქვემოთ მოყვანილ ველში მიუთითოთ კონკრეტული სადავო ნორმა და მის გასწვრივ საქართველოს კონსტიტუციის ის დებულება, რომლის მიმართაც მოითხოვთ აღნიშნული სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას.

წლის განმავლობაში.	

**4.საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სამართლებრივი საფუძვლები:** [შენიშვნა 3](#)

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და 39-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

---

შენიშვნა 3 - გთხოვთ, მიუთითოთ საქართველოს კონსტიტუციის და კანონმდებლობის ის ნორმები, რომლებიც უფლებას გაძლევთ მიმართოთ საკონსტიტუციო სასამართლოს.

## II.სარჩელის საფუძვლიანობა, მოთხოვნის არსი და დასაბუთება

### 1.განმარტებები სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებასთან დაკავშირებით

გთხოვთ, დაასაბუთოთ, რომ არ არსებობს თქვენი სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში არსებითად განსახილველად არმიღების საფუძვლები. [შენიშვნა 4](#)

მიგვაჩნია, რომ არ არსებობს წინამდებარე კონსტიტუციური სარჩელის (შემდგომში „სარჩელი“) „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31<sup>3</sup> მუხლით გათვალისწინებული კონსტიტუციური სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში (შემდგომში „სასამართლო“) განსახილველად არ მიღების საფუძველი. კერძოდ:

ა) თავისი ფორმითა და შინაარსით სარჩელი შეესაბამება „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31<sup>1</sup> მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) წარმოდგენილი კონსტიტუციური სარჩელი შეტანილია უფლებამოსილი პირის მიერ. მოსარჩელეს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე ელფრიდა(ჟანა) რეხვიაშვილი რომელსაც საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გარანტირებული აქვს თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით სასამართლოსათვის მიმართვის უფლება.კერძოდ; 1992 წლის 3 იანვარს თბილისში დიდუბის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, მხარდამჭერ აქციაზე იმყოფებოდნენ, ელფრიდა (ჟანა) რეხვიაშვილის ორი ვაჟი, გივი და ნუგზარ რეხვიაშვილები, აღნიშნულ მიტინგზე იმ პერიოდში ხელისუფლებას დაქვემდებარებული შეიარაღებული ძალების მიერ იქნა დაჭრილი გივი რეხვიაშვილი, რომელსაც მიჯრით ესროლეს გულმკერდის არეში, აკს-ის სისტემის ავტომატური იარაღიდან „მსხლეტავი“ ტყვია, რომელიც აკრძალულია საერთაშორისო ნორმებით, თვით ავღანეთშიც კი. მიყენებული მძიმე ჭრილობებით გივი რეხვიაშვილი 1992 წლის 7 იანვარს გარდაიცვალა საავადმყოფოში. რაც ვერ გადაიტანა ელფრიდა (ჟანა) რეხვიაშვილის მეუღლემ და გარდაიცვალა, აღნიშნულიდან გამომდინარე ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიიღო ასევე ნუგზარ რეხვიაშვილმაც, რომელიც განიცდიდა მუდმივ შევიწროებას სახელმწიფოს მხრიდან, გამომდინარე აქედან ის წავიდა ემიგრაციაში, სადაც მძიმე სამუშაო პირობებიდან გამომდინარე გაუსკდა კუჭი და სამკურნალოდ ელფრიდა (ჟანა) რეხვიაშვილი იძულებული გახდა დაგვეგირავებინა ბინა, ხოლო საცხოვრებლად შეჭიზნებოდა ნათესავებს, ხოლო მას შემდგომ რაც ჩამოიყვანა შვილი თბილისში ის საჭიროებდა განმეორებით ოპერაციას, რისი საშუალებაც ოჯახს

შენიშვნა 4 - „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის თანახმად კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება განსახილველად არ მიიღება, თუ: ა) ფორმით ან შინაარსით არ შეესაბამება ამ კანონის მე-16 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს; ბ) შეტანილი არ არის უფლებამოსილი პირის ან ორგანოს (სუბიექტის მიერ); გ) მასში მითითებული არც ერთი სადავო საკითხი არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი; დ) მასში მითითებული ყველა სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, გარდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა; ე) მასში მითითებული არც ერთი სადავო საკითხი არ არის გადაწყვეტილი საქართველოს კონსტიტუციით; ვ) არასაპატიო მიზეზით დარღვეულია მისი შეტანის კანონით დადგენილი ვადა; ზ) სადავო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე სრულფასოვანი მსჯელობა შეუძლებელია ნორმატიული აქტების იერარქიაში მასზე მაღლა მდგომი იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე მსჯელობის გარეშე, რომელიც კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებული არ არის.

არ გააჩნდა და მას ხელმეორედ გაუსკდა კუჭი, ასევე ელფრიდა (ჟანა) რეხვიაშვილი უმაღლავდა მამათილს შვილის და შვილიშვილის გარდაცვალების ამბავს, მას შემდგომ რაც მამათილისთვის ცნობილი გახდა აღნიშნული ტრაგედია ნერვიულობის ნიადაგზე გარდაიცვალა.

ოჯახმა მიიღო არა მარტო მორალური, არამედ მატერიალური ზიანიც, ვინაიდან ვერ მოხერხდა დაგირავებული ბინის გამოხსნა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ელფრიდა (ჟანა) რეხვიაშვილი იქნა აღიარებული რეპრესირებულად, სასამართლოს მიერ. თუმცა კანონის არა კონსტიტუციურობის გამო მან ვერ განახორციელა თავის უფლება, რაც აძლევს მას მოითხოვნის უფლებას, მოითხოვოს აღნიშნული მუხლის არა კონსტიტუციურად ცნობა;

გ) სარჩელში შეტანილი სადავო საკითხები არის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი;

დ) სარჩელში მითითებულ საკითხებზე სასამართლოს არ უმსჯელია;

ე) სადავო აქტების ნორმატიული შინაარსი ექცევა კონსტიტუციის მე-18 მუხლით დაცულ სფეროში;

ვ) კანონით არ არის დადგენილი სარჩელის შეტანის ვადა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აშკარაა, რომ არ არსებობს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31<sup>3</sup> მუხლით გათვალისწინებული სარჩელის არსებითად განსახილველად არ მიღების საფუძველი.

---

## 2. მოთხოვნის არსი და დასაბუთება შენიშვნა 5

I. „საქართველოს კანონის საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ „ მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი- „ფულადი კომპენსაციის ოდენობას, იძულების სხვადასხვა ფორმის სიმძიმის, აგრეთვე რეპრესირებული პირის ან მისი პირველი რიგის მემკვიდრის ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სხვა ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით, . ფულადი კომპენსაციის ოდენობას ადგენს სასამართლო არანაკლებ 1000 და არაუმეტეს 2000 ლარისა“.

აღნიშნული მუხლი ადგენს რომ მიუხედავდ ზარალის ოდენობისა ანდა სიმძიმისა ფულადი ანაზღაურება პოლიტიკური რეპრესირებისთვის, მათ შორის ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაში შეადგენს 1 000 ლარიდან 2 000 ლარამდე თანხას ანუ პირობითად სახელმწიფო იმ პირის სიცოცხლეს რომელიც გარდაიცვალა პოლიტიკური რეპრესიების შედეგად აფასებს 2 000 ლარად, ხოლო პირს რომელიც იძულებით მოათავსეს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში 1 500 ლარად, ეს სიტყვები პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტთან, რომელიც ამბობს რომ სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზიანი სრულად უნდა ანაზღაურდეს. შეუძლებელია 2000 ლარით ანაზღაურება მიიჩნეოდეს სრულად მაშინ როც საუბარია ადამიანის სიცოცხლის მოსპობაზე, მის დასახიჩრებაზე და ყველა იმ შემთხვევაზე, რასაც კანონი „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ ითვალისწინებს.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში მოიპოვება მაგალითები, როცა საავტორო უფლების დარღვევით გამოწვეული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისთვის, არასწორი ცნობების გავრცელებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის, მხარე ითხოვს 1 500 ევროს ექვივალენტს ლარში ან 2 500 ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტს ლარში, 50 000 ლარს და სასამართლო მათ ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს. მაგ.:

ა) 2005 წლის 28 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება, რომლითაც „ტელეკომპანია მზეს“ დაეკისრა 2500 ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტი ლარში გადახდა „ტელეიმედის“ სასარგებლოდ საავტორო უფლების დარღვევის გამო.

ბ) 2012 წლის 01 აგვისტოს №2ბ/1476-12 საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლომ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დააკისრა 50 000 ლარის გადახდა, არასწორი ინფორმაციის გავრცელებით მისთვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებლად.

საქართველოში საჯარო მოხელის ხელფასი, პირობითად ქალაქ თბილისის, გლდანის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის, ერთი თვის სახელფასო ანაზღაურება (6 500 ლარი) თითქმის 4 ჯერ აღემატება რეპრესირების შედეგად დაზარალებული ადამიანისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის განსაზღვრული თანხის მაქსიმუმს და 6 ჯერ აღემატება აღნიშნული

შენიშვნა 5 - გთხოვთ, წარმოადგინოთ დასაბუთება სადავო ნორმის (ნორმების) კონსტიტუციის მითითებულ ნორმასთან შეუსაბამობის თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ სადავო ნორმის (ნორმების) შემოწმებას საქართველოს კონსტიტუციის რამდენიმე მუხლთან ითხოვთ, გთხოვთ, ცალ-ცალკე წარმოადგინოთ დასაბუთება. იმ შემთხვევაში, თუ ეყრდობით საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს საერთო სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ან საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო გადაწყვეტილებებს, გთხოვთ მიუთითოთ საქმის დასახელება და გადაწყვეტილების შესაბამისი პარაგრაფი.

---

თანხის მინიმუმს, რაც აშკარად გვიჩვენებს რომ აღნიშნული ნორმა არ წარმოადგენს მართლზომიერს.

II. 2011 წლის 19 აპრილს საქართველოს კანონში „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ შევიდა ცვლილება რომელის კოდიფიცირებაც არ მომხდარა კანონში, ის გამოქვეყნდა საკანონმდებლო მაცნეში ცალკე, ცვლილების სახით, რომელშიც მე-2 მუხლი ჩამოყალიბდა შემდგომი სახით: „პირს, რომელსაც არ მიუმართავს სასამართლოსთვის განცხადებით პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ, უფლება აქვს, შესაბამისი განცხადებით მიმართოს სასამართლოს ამ კანონის ამოქმედებიდან ერთი წლის განმავლობაში“ რაც გულისხმობს რომ რეპრესირებულმა პირს უნდა მიემართა სასამართლოსთვის კანონის ამოქმედებიდან ერთი წლის განმავლობაში.

ცვლილების კოდიფიცირება არ მომხდარა კანონში, შესაბამისად მოსარჩელე ჟანა რეხვიაშვილს არ შეეძლო შეეტყო აღნიშნული ცვლილების შესახებ, გამომდინარე იქიდან რომ ის არ გახლავთ იურისტი და ვერ მიაღწევდა მუდმივად თვალყურს საკანონმდებლო მაცნეს, მაგრამ თუნდაც ყოფილიყო იურისტი ყველანაირ ლოგიკას მოკლებულია რომ ადამიანს გაუჩნდეს სურვილი ეძებოს კანონი ცვლილებების შეტანის შესახებ ცალკე ფორმით გამოქვეყნებული;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულია რომ წუნდებული პროდუქციით გამოწვეული ზარალისთვის მწარმოებელი პასუხს აგებს ზარალისთვის და აღნიშნული მოთხოვნის ხანდაზმულობა სამოქალაქო კოდექსის 1015-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით „მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა არის 3 წელი იმ მომენტიდან, როცა ზიანის ანაზღაურების უფლების მქონემ გაიგო ან უნდა გაეგო ზიანის, ნაკლის ანდა ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ“ ხოლო მოთხოვნის უფლება ქარწყლდება „იმ მომენტიდან 10 წლის შემდეგ, როცა მწარმოებელმა ზიანის გამომწვევი პროდუქტი სარეალიზაციოდ გაიტანა“

---



### III. შუამდგომლობები [შენიშვნა 6](#)

ა. შუამდგომლობა (შუამდგომლობები) მოწმის, ექსპერტის ან/და სპეციალისტის მოწვევის თაობაზე. [შენიშვნა 7](#)

ბ. შუამდგომლობა სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების თაობაზე. [შენიშვნა 8](#)

გ. კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სახის შუამდგომლობები. [შენიშვნა 9](#)

---

შენიშვნა 6 - მოსარჩელეს შეუძლია წარმოადგინოს დასაბუთებული შუამდგომლობა საქმეზე მოწმის, ექსპერტის ან/და სპეციალისტის მოწვევის თაობაზე; არსებითი განხილვის ზეპირი მოსმენის გარეშე ჩატარების შესახებ; სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების თაობაზე და სხვ.

შენიშვნა 7 - დასაბუთებაში უნდა მიუთითოთ, თუ კონკრეტულად რატომ იწვევთ შესაბამის მოწმეს, ექსპერტს ან/და სპეციალისტს და განსახილველი საქმის გადასაწყვეტად რა მნიშვნელოვანი ინფორმაციის წარმოდგენა შეუძლიათ მათ. (ქვემოთ მოყვანილ ველში, გთხოვთ, მიუთითოთ ვისი მოწვევა გასურთ – მოწმის, ექსპერტის ან/და სპეციალისტის, ხოლო შემდეგ მათი ვინაობა, პროფესია, სამუშაო ადგილი და საკონტაქტო ინფორმაცია).

შენიშვნა 8 - გთხოვთ, ქვემოთ მოყვანილ ველში სასამართლოს წარმოუდგინოთ ის მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ სადავო ნორმატიული აქტის მოქმედების შეჩერების მოთხოვნის საფუძვლიანობას.

შენიშვნა 9 - გთხოვთ, ქვემოთ მოყვანილ ველში სასამართლოს წარმოუდგინოთ ის მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ შუამდგომლობის საფუძვლიანობას.

## IV. თანდართული დოკუმენტების სია

ა. დოკუმენტები, რომლებიც სავალდებულოა ერთვოდეს სარჩელს (გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისი უჯრა)

1. სადავო ნორმატიული აქტის ტექსტი.
2. მოსარჩელის წარმომადგენლის (წარმომადგენელთა) უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.
3. სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.
4. კონსტიტუციური სარჩელის ელექტრონული ვერსია.

ბ. სხვა დოკუმენტები:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის გადაწყვეტილება საქმეზე #3ბ/07-13
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 3 ივნისს გაცემული სააღსრულებო ფურცელი საქმეზე #3ბ/07-13

საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილენი მოვალენი არიან, კეთილსინდისიერად გამოიყენონ თავიანთი უფლებები. საკონსტიტუციო სასამართლოსათვის წინასწარი შეცნობით ყალბი ცნობების მიწოდება იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას („საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი)

მოსარჩელის ხელმოწერა:

თარიღი: